



საქართველოს სახალხო დამცველი

ბ რ ძ უ ნ ე ბ უ

N 59
16/05/2022

59-22-4-202205161601



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესისა და საქმეთა განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-12 მუხლის, ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესი“ თანდართული სახით (დანართი №1).
2. დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესი“ თანდართული სახით (დანართი №2).
3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულებისათვის სარეკომენდაციო სახით დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესით“ გათვალისწინებული ოქმების შაბლონები თანდართული სახით (დანართი №3).
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 19 თებერვლის N82 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოების ერთიანი წესი.“
5. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის წინამდებარე ბრძანების დაგზავნა დაევალოს სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
- 7 ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის
საქმეთა განხილვის წესი

2022 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მიზანი

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესი (შემდგომში - „საქმეთა განხილვის წესი“) ადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების წესს. აღნიშნული მიზნისათვის საქმეთა განხილვის წესი განსაზღვრავს:

ა) საქართველოს სახალხო დამცველის მიერ კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების პროცესში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქმის განხილვის/შესწავლის წესებს და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;

ბ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს საქმის შესწავლისათვის საჭირო მტკიცებულებათა მოპოვების საკითხებს;

გ) საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქმის/განცხადების შესწავლის შედეგების მიხედვით შესაბამის გადაწყვეტილებათა მიღების წესს.

მუხლი 2. სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ“ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ბავშვის უფლებათა კოდექსით“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 18 დეკემბრის №459 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით“, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 28 იანვრის N15 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შინაგანაწესით“, „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესით“, წინამდებარე და საქართველოს სახალხო დამცველის სამართლებრივი აქტებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული ცალკეული დავალებებით.

მუხლი 3. საქმეთა განხილვის წესის მოქმედების სფერო

1. საქმეთა განხილვის წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის იმ სტრუქტურულ ერთეულებზე/პირებზე, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით (დამტკიცებული საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 18 დეკემბრის №459 ბრძანებით) განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში არსებითად განიხილავენ და შეისწავლიან ადამიანის სავარაუდო უფლების დარღვევის ფაქტებს.

2. წინამდებარე წესების შესრულება სავალდებულოა სახალხო დამცველის აპარატის ყველა თანამშრომლისთვის და მისმა დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს სახალხო

დამცველის 2019 წლის 28 იანვრის N15 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შინაგანაწესით“ დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობა.

3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარდგენილი საჩივარი, რომელიც ეხება აპარატის მიერ სავარაუდო უფლებადარღვევის შესახებ საქმის შესწავლის შედეგად მიღებულ შემაჯამებელ დოკუმენტს ან საქმის შესწავლის პროცესის თაობაზე დაინტერესებული პირის მიერ წერილობით დაფიქსირებულ უკმაყოფილებას, განიხილება „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა საჩივრის განხილვის წესით“ დადგენილი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 4. საქმის განხილვის პრინციპები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების/პირების მიერ საქმის განხილვის პროცესში დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

- ა) კანონის წინაშე ყველას თანასწორობის უზრუნველყოფა;
- ბ) უფლებამოსილების მხოლოდ კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელება;
- გ) საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად გადაწყვეტა;
- დ) კეთილსინდისიერება;
- ე) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება დასაბუთების მაღალი სტანდარტით;
- ვ) პროპორციულობა და თანაზომიერება;
- ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის გარეშე ცხოვრების და პიროვნული ღირსების პატივისცემის უზრუნველყოფა;
- თ) ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ხელმისაწვდომობა;
- ი) დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა;
- კ) ეფექტიანობა, დროულობა და ეკონომიურობა.

მუხლი 5. ტერმინთა განმარტებები

1. საქმის განხილვის პროცესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **აპარატი** – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- ბ) **აპარატის სტრუქტურული ერთეული** – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეული;
- გ) **საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (eDocument)** - ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება სახალხო დამცველის აპარატში შემოსული და გასული დოკუმენტების აღრიცხვა და მოძრაობა;

დ) **დოკუმენტი** - განცხადება, საჩივარი, წინადადება, რეკომენდაცია, პასუხი, ოქმი, ახსნა-განმარტება და სხვა ნებისმიერი სახის კორესპონდენცია, რომელიც მიღებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ან გამოიზღვრა სახალხო დამცველის აპარატიდან გასაგზავნად;

ე) **განცხადება** - „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად აპარატში წარმოდგენილი წერილობითი განცხადება ან/და საჩივარი უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის თაობაზე.

ვ) **დამატებითი განცხადება** - განცხადება, რომელიც უკავშირდება პირის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოებაში არსებულ საქმეს;

ზ) **უფლებადარღვევის ოქმი** - დაინტერესებული პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის, გარდა განცხადებით მომართვისა, საფუძველზე აპარატში დასაქმებული პირის მიერ შედგენილი ოქმი, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტის და/ან სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის დარღვევის ადგილზე დაფიქსირების შესახებ;

თ) **ოქმი** - საქმის განხილვის პროცესში მტკიცებულებების დამაგრების მიზნით შედგენილი ოქმი (მოწმის/ექსპერტის/სპეციალისტის გამოკითხვის ოქმი, ზეპირი მოსმენის ოქმი, ადგილზე დათვალიერების ოქმი, სიტუაციური ტექსტის შესახებ ოქმი და ზეპირი კომუნიკაციის მეშვეობით საქმის განხილვის დასრულების შესახებ მხარისათვის შეტყობინების დაფიქსირების მიზნით შედგენილი ოქმი);

ი) **საკუთარი ინიციატივით საქმის შესწავლის დაწყება** - აპარატში დასაქმებული პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი (მოხსენებითი ბარათი) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტის შესახებ, რომელიც დადასტურებულია სახალხო დამცველის მიერ.

კ) **ახსნა-განმარტება** - დაინტერესებული პირის მიერ აპარატის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილი ზეპირი ან წერილობითი ინფორმაცია. ზეპირი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, ახსნა-განმარტება აისახება შესაბამის სხდომის ოქმში.

ლ) **რეკომენდაცია** - საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვა ადამიანის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღდგენის მიზნით, იმ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების მიმართ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა. ასევე, განცხადების განხილვის შედეგად დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვა, რომლითაც დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, მუნიციპალიტეტის ორგანოს, თანამდებობის პირს, ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს, სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, პირთა გაერთიანებას იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტს სთავაზობს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და მის შედეგად დარღვეული თანასწორობის აღსადგენად ღონისძიებების განხორციელებას მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

მ) **წინადადება** - საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვა საქართველოს პარლამენტისა და სხვა ორგანოებისადმი, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფის, დაკავებულთა, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების, აგრეთვე წამებისა და

სხვა სასტიკი - არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონპროექტების თაობაზე, შესაბამისი საგამოძიებო ორგანოებისათვის მიმართვა გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით, თუ საქმის განხილვის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები - შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვა იმ პირთა დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;

ნ) **ზოგადი წინადადება** - შესაბამისი დაწესებულებისა და პირისათვის წინადადებით მიმართვა, დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

ო) **შენიშვნა** - შესაბამისი დაწესებულებისა და პირისათვის მიმართვა, დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთ საკითხებზე, ფაქტობრივი გარემოებები ანდა მტკიცებულებები რეკომენდაციის/ზოგადი წინადადების სტანდარტს ვერ აღწევს, თუმცა საკითხი პრობლემურია და საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება;

პ) **დასკვნა** - სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებების, ექსპერტების, სპეციალისტების მონაწილეობით მომზადებული დოკუმენტი;

ჟ) **პირველადი შემოწმება** - საქმისწარმოების დასაწყისი ეტაპი, როდესაც ხდება განცხადებაში/ოქმში დასმული საკითხის შემოწმება და საქართველოს სახალხო დამცველის კომპეტენციასთან მისი შესაბამისობის დადგენა;

რ) **ხარვეზის დადგენა** - დამატებითი დოკუმენტაციის ან ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია საქმის შემდგომი შესწავლისათვის;

ს) **შემსრულებელი** - განცხადების შესწავლაზე უშუალოდ პასუხისმგებელი პირი;

ტ) **პირველადი რეაგირება** - დაინტერესებული პირთან კომუნიკაცია საქმის გარემოებებთან დაკავშირებით ან/და შესაბამისი ორგანოსთვის/პირისთვის საქმის გარემოებების შესწავლის მიზნით მიმართვა, წერილობითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, დაკავებულთა, პატიმრობაში მყოფთა ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მონახულება ან/და სხვა ღონისძიებების განხორციელება;

უ) **შუალედური პასუხი** - განმცხადებლისათვის საქმის მიმდინარეობის შესახებ შუალედური ინფორმაციის მიწოდება;

ფ) **შემაჯამებელი დოკუმენტი** - რეკომენდაცია, წინადადება, ზოგადი წინადადება, შენიშვნა, დასკვნა, ანგარიში, უფლებადარღვევის არარსებობის თაობაზე მიღებული დოკუმენტი (წერილი, გადაწყვეტილება) ან სხვა სახის დოკუმენტი, რომელიც გამოიცემა საქმის სრულყოფილი შესწავლის შედეგად და რომელიც წარმოადგენს საქმის შესწავლის დასრულების საფუძველს;

ქ) **დაინტერესებული პირი** - განცხადების ავტორი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც უშუალოდ ეხება ან შეიძლება შეეხოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი.

ღ) **მესამე პირი** - ორგანიზაცია, დაწესებულება ან გაერთიანება, რომლის საქმიანობის სფეროც მოიცავს პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვას, არ არის საქმის განხილვაში მონაწილე დაინტერესებული პირი და მისი საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, დაინტერესებულია საქმის ობიექტურად და სამართლიანად გადაწყვეტით.

ყ) მოწმე - პირი, რომლისთვისაც ცნობილია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტობრივი გარემოება საქმის შესახებ, შესწევს უნარი, სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ინფორმაცია და რომელიც არ არის იურიდიულად დაინტერესებული საქმის შედეგით.

შ) ექსპერტი/სპეციალისტი - სპეციალური ცოდნის მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი.

ჩ) თარჯიმანი - პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და ცოდნა სახელმწიფო ენის არმცოდნეს ან სმენის სირთულის მქონე პირს უთარგმნოს შესაბამის ენაზე ან ქვეტურ ენაზე საქმის შესწავლასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

ც) საჯარო დაწესებულება - ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს ან/და დაფინანსებულია სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან.

მუხლი 6. საქმის განხილვის ენა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმის განხილვის ენა არის ქართული.

მუხლი 7. ვადების ათვლა

ამ წესში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება.

თავი II. საქმის განხილვის საფუძვლები

მუხლი 8. აპარატისთვის მიმართვის უფლება

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს აპარატს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

2. სხვა პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის თაობაზე სახალხო დამცველის აპარატისათვის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სავარაუდო უფლებადარღვეული პირის მიერ კანონით დადგენილი წესით გაცემული წარმომადგენლობის დამდასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელიც დადგენილია სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით.

მუხლი 9. საქმის განხილვის საფუძვლები

1. სახალხო დამცველის აპარატში საქმის განხილვის დაწყების საფუძველია:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება ან აპარატის წარმომადგენლის მიერ შედგენილი უფლებადარღვევის ოქმი;

ბ) სახალხო დამცველის ინიციატივა.

2. სახალხო დამცველის/აპარატის ინიციატივით საქმის შესწავლა ხორციელდება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტზე, რომელიც ცნობილი გახდა არა კონკრეტული განმცხადებლის მომართვის საფუძველზე, არამედ ინფორმაციის სხვა წყარო(ებ)ის მეშვეობით. ამ შემთხვევაში საქმის შესწავლა დაიწყება აპარატში დასაქმებული პირის მიერ შედგენილი დოკუმენტის (მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე.

მუხლი 10. განცხადების შინაარსი

1. განცხადება უნდა იყოს შედგენილი სახალხო დამცველის სახელზე წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

- ა) განმცხადებლის ვინაობას, მისამართს, პირად ნომერს და საკონტაქტო ინფორმაციას;
- ბ) ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;
- გ) არსებობის შემთხვევაში, სავარაუდო უფლებადამრღვევის შესახებ ინფორმაციას (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, მისამართი, ტელეფონის ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- დ) მოთხოვნას;
- ე) განცხადების წარდგენის თარიღს და ხელმოწერას;
- ვ) განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომელიც ინახება განმცხადებელთან და რომლითაც დასტურდება განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. თუ ასეთი საბუთი განმცხადებელმა ვერ მოიპოვა, განცხადებას უნდა დაერთოს მტკიცებულება ან/და მიუთითოს გარემოება, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ მან ასეთი მტკიცებულება ვერ მოიპოვა.

3. პირველი პუნქტის "ა" პუნქტით გათვალისწინებული რეკვიზიტების: პირადი ნომრის ან საკონტაქტო ინფორმაციის მიუთითებლობა არ აჩერებს საქმის შესწავლას.

4. პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკვიზიტის - ხელმოწერის არარსებობა ხელს არ შეუშლის იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ განცხადების შესწავლას, რომელსაც შეზღუდული აქვს ხელმოწერის შესაძლებლობა და განცხადებით ითხოვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებთან დაკავშირებული საკითხის შესწავლას.

5. ბავშვის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ მოქალაქეთა განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

- ა) ადრესატის დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- ბ) განმცხადებლის/საჩივრის ავტორის ვინაობას, მისამართს, პირად ნომერს და/ანდა საკონტაქტო ინფორმაციას;
- გ) ბავშვის უფლების სავარაუდო დარღვევის მოკლე აღწერას (ფაქტობრივი გარემოების მითითებით);
- დ) სავარაუდო უფლებადამრღვევი ორგანოს, იურიდიული ან ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და საკონტაქტო ინფორმაციას (ასეთის ცოდნის შემთხვევაში);

- ე) სავარაუდო უფლებადარღვეული ბავშვის სახელს, გვარს, პირად ნომერს, დაბადების თარიღს (წელი, თვე, რიცხვი), საცხოვრებელი მისამართს და საკონტაქტო ინფორმაციას;
- ვ) ინფორმაციას განმცხადებლის კავშირის შესახებ სავარაუდო უფლებადარღვეულ ბავშვთან;
- ზ) ინფორმაციას შესაბამისი უწყებისთვის მიმართვის თაობაზე;
- თ) მითითებას კონფიდენციალობის დაცვის შესახებ;
- ი) მოთხოვნას;
- კ) განცხადების წარდგენის თარიღს და ხელმოწერას;
- ლ) განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.
6. ბავშვის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მიმართვის შემთხვევაში, განცხადება შეიძლება დაიწეროს მისთვის გასაგები ფორმით და სასურველია შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- ა) რა თემაზე სურს სახალხო დამცველთან მიმართვა (რატომ გადაწყვიტა, რომ მიმართოს სახალხო დამცველს;
- ბ) მისი აზრით დაირღვა არა მისი ან/და სხვა ბავშვის უფლება;
- გ) რატომ მიაჩნიათ რომ დაირღვა მისი ან/და სხვა ბავშვის უფლება;
- დ) სავარაუდო უფლებადამრღვევის შესახებ ინფორმაციის (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თუ ეს მონაცემები მისთვის არის ცნობილი);
- ე) ინფორმაციას კონფიდენციალობის შესახებ;
- ვ) განცხადების თარიღს.
7. მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებული რომელიმე ინფორმაციის არარსებობა არ შეიძლება გახდეს ხარვეზის დადგენის და ბავშვის სავარაუდო უფლების დარღვევის შესწავლაზე უარის თქმის საფუძველი.
8. ბავშვის უფლებების, გენდერის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების შესახებ სახალხო დამცველის აპარატში წარმოება შესაძლებელია დაიწყოს ანონიმური განცხადების საფუძველზეც.
9. ადვოკატის/წარმომადგენლის მიერ შემოტანილი განცხადებას, თან უნდა ერთვოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
10. ოჯახის წევრის მიერ შემოტანილი განცხადებას უნდა ერთვოდეს შესაბამისი პირის ნების გამომხატველი ან/და ოჯახის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკითხი ეხება სიცოცხლის უფლების დარღვევას, წამებასა და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს, ჯანმრთელობის დაზიანებას, პატიმართა უფლებებს, ბავშვის უფლებებს, ოჯახში ძალადობის საკითხებს და სხვა გადაუდებელ შემთხვევას.

11. აპარატში წერილობით წარმოდგენილ და ხელმოწერილ განცხადებად ითვლება ასევე Mygov.ge პლატფორმის მეშვეობით ან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები.

მუხლი 11. დისკრიმინაციის შესახებ საქმეთა განხილვის საფუძვლები

1. პირმა, რომელიც მიიჩნევს, რომ მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა:

ა) განცხადებაში უნდა მიუთითოს ფაქტებზე და წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომელთა ანალიზი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის/“დაცული საფუძველი“ ან სხვა ნიშნის მიხედვით, პირის მიმართ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა;

ბ) ვალდებულია წარადგინოს დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტების დამადასტურებელი ის მტკიცებულებები, რომელთა მოპოვება მისთვის ობიექტურად შესაძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ ამ პირის მიერ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელია, მან ფაქტების მითითებით და მისთვის ხელმისაწვდომი მტკიცებულებების წარდგენით, უნდა შექმნას დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდი.

მუხლი 12. უფლებადარღვევის ოქმის შინაარსი

1. აპარატის წარმომადგენლის მიერ უფლებადარღვევის ოქმი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) ოქმის შედგენის თარიღი;

ბ) ოქმის შედგენის დრო და ადგილი;

გ) ოქმის შემდგენი პირის (მოსამსახურის) ვინაობა და თანამდებობა;

დ) ოქმის შედგენის საფუძველი: სავარაუდო უფლებადარღვეული პირის ინფორმაცია, სატელეფონო თუ ელექტრონული შეტყობინება, შეხვედრა უფლებადარღვეულ პირთან და სხვა;

ე) ფაქტობრივი გარემოებების მოკლე აღწერა;

ვ) სავარაუდო უფლებადარღვეულის ვინაობა (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი ან პირადი ნომერი) და საკონტაქტო ინფორმაცია და აპარატის მიერ საქმის შესწავლის მოთხოვნა;

ზ) თუ ცნობილია სავარაუდო უფლებადამრღვევი პირის ვინაობა და სამუშაო ადგილი;

თ) ოქმზე თანდართული დოკუმენტების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა ან/და სავარაუდო უფლებადარღვეული/უფლებადამრღვევი პირის ხელმოწერა.

2. ოქმი ბავშვის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) ოქმის შედგენის თარიღი;

ბ) ოქმის შედგენის დრო და ადგილი;

გ) ოქმის შემდგენი პირის (მოსამსახურის) ვინაობა და თანამდებობა;

დ) ოქმის შედგენის საფუძველი: სავარაუდო უფლებადარღვეული პირის ინფორმაცია, სატელეფონო თუ ელექტრონული შეტყობინება, შეხვედრა უფლებადარღვეულ პირთან და სხვა;

ე) სავარაუდო უფლებადარღვეული ბავშვის სახელს, გვარს, პირად ნომერს, დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი), საცხოვრებელი მისამართი და საკონტაქტო ინფორმაციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) ბავშვის უფლების სავარაუდო დარღვევის მოკლე აღწერას (ფაქტობრივი გარემოების მითითებით);

ზ) სავარაუდო უფლებადამრღვევი ორგანოს, იურიდიული ან ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და საკონტაქტო ინფორმაციას (ასეთის ცოდნის შემთხვევაში);

თ) ინფორმაციას განმცხადებლის კავშირის შესახებ სავარაუდო უფლებადარღვეულ ბავშვთან;

ი) ინფორმაციას შესაბამისი უწყებისთვის მიმართვის თაობაზე;

კ) მითითებას კონფიდენციალობის დაცვის შესახებ;

ლ) მოთხოვნას;

მ) ოქმზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 13. საკუთარი ინიციატივით საქმის შესწავლა

1. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე მოხსენებითი ბარათი უნდა შედგეს წერილობით, საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე, აპარატის შესაბამისი თანამშრომლის მიერ და უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას სავარაუდო უფლებადარღვევის, პრობლემის აღწერის და შესწავლის მნიშვნელობის თაობაზე;

ბ) ინფორმაციის მიღების წყაროს;

გ) თხოვნას საქმისწარმოების დაწყების შესახებ ნებართვის მიღების თაობაზე;

დ) ბავშვის უფლებათა საკითხებზე - ინფორმაცია კონფიდენციალობის თაობაზე.

2. სახალხო დამცველის ინიციატივით, საქმის შესწავლის დაწყების შესახებ ნებართვა მიიღება საქმისწარმოების პროგრამაში.

თავი III. საქმის განხილვა

მუხლი 14. საქმის განხილვის ეტაპები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმის განხილვის ეტაპებია:

- ა) განცხადების ან უფლებადარღვევის ოქმის საქმისწარმოების პროგრამაში რეგისტრაცია, ან სახალხო დამცველის ინიციატივით საქმისწარმოების დაწყების შესახებ ნებართვის მიღება;
- ბ) პირველადი შემოწმების ეტაპი;
- გ) საქმის განხილვა კომპეტენტურ სტრუქტურულ ერთეულში/პირის მიერ;
- დ) საქმის განხილვის დასრულება.

მუხლი 15. განცხადების რეგისტრაცია

1. აპარატში მიღებული განცხადება/დამატებითი განცხადება/უფლებადარღვევის ოქმი დაუყონებლივ ან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა რეგისტრირდება საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, ენიჭება რეგისტრაციის უნიკალური ნომერი და იმავე დღეს გადაეცემა პირველად შემოწმებაზე პასუხისმგებელ პირს.
2. განცხადების რეგისტრაციის ნომერისა და თარიღის შესახებ ინფორმაციას მოთხოვნის შემთხვევაში განმცხადებელს აწვდის განცხადების რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 16. პირველადი შემოწმება

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადების/უფლებადარღვევის ოქმის პირველადი შემოწმება ხდება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14, მე-14¹ და მე-14² მუხლებითა და სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით დადგენილი წესით.
2. პირველად შემოწმებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული პირველად შეფასებას ახდენს განცხადების/უფლებადარღვევის ოქმის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით განცხადების/უფლებადარღვევის ოქმის შემთხვევაში 1 სამუშაო დღის ვადაში.
3. სტრუქტურულ ერთეულს უფლება აქვს სახალხო დამცველის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადების/უფლებადარღვევის ოქმის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს პირველად შემოწმებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს მიღებული განცხადება/უფლებადარღვევის ოქმი, თუ მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ შეესაბამება მის კომპეტენციას.
4. იმ განცხადება/უფლებადარღვევის ოქმზე, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის დანაშაულს, ინფორმაცია მიეწოდება სპეციალური საგამოძიებო სამსახურს საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 21 აპრილის N46 ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის სავარაუდო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის“ შესაბამისად.
5. წინამდებარე მუხლში მითითებული ვადის გასვლიდან 1 სამუშაო დღეში განცხადების/უფლებადარღვევის ოქმის შესახებ ინფორმაციას, განცხადების რეგისტრაციის ნომრის, თარიღისა და შემსწავლელი სტრუქტურული ერთეულის მითითებით, პირველად

შემოწმებაზე პასუხიმგებელი სტრუქტურული ერთეული აცნობებს განმცხადებელს, ხოლო ოქმის შემთხვევაში - სავარუდო უფლებადარღვეულ პირს.

6. პირველადი შემოწმების შემდეგ უარის თქმის თაობაზე პასუხს მზადდება და იგზავნება საკითხის გადაწყვეტიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

7. ერთი და იგივე შინაარსის, იდენტურ განცხადებაზე/უფლებადარღვევის ოქმზე განმცხადებელს პირველად შემოწმებაზე პასუხიმგებელი სტრუქტურული ერთეულმა შეიძლება წერილობითი პასუხი გასცეს მაქსიმუმ ორჯერ. შემდგომში, იგივე მოთხოვნით და იგივე საკითხზე მომართვ(ებ)ის შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესებულ პირთან აღარ აწარმოებს წერილობით კომუნიკაციას, რის თაობაზეც განმცხადებელს ეცნობება მისთვის გაგზავნილ ბოლო პასუხში.

მუხლი 17. ხარვეზის დადგენა

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიღებულ განცხადებაზე/უფლებადარღვევის ოქმზე ხარვეზის დადგენის საფუძველია:

ა) განცხადება/საჩივრის შეუსაბამობა წინამდებარე წესის მე-10-მე-12 მუხლებით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებთან;

ბ) თუ შეუძლებელია ხელნაწერი განცხადების ტექსტის წაკითხვა;

გ) განცხადებაში/უფლებადარღვევის ოქმში აღნიშნულია, რომ ადგილი ჰქონდა გამოძიების ან/და სასამართლოში საპროცესო უფლებების დარღვევას, თუმცა არ არის მითითებული საპროცესო უფლების დარღვევის კონკრეტული ფაქტები (მოწმის დაკითხვის, ადვოკატის ყოლის ან/და ექსპერტის დანიშვნის, ექსპერტის დაკითხვის უფლების შეზღუდვის, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევის ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვაგვარი დარღვევა);

დ) განცხადებაში/უფლებადარღვევის ოქმში აღნიშნულია, რომ ადგილი ჰქონდა პატიმრის უფლებების დარღვევას, თუმცა არ არის მითითებული უფლების დარღვევის კონკრეტული ფაქტები (პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმით სარგებლობის პროცესში კონკრეტული უფლების დარღვევის ფაქტი, დისციპლინური სამართალწარმოებისას პროცედურული უფლებების დარღვევა და სხვა).

2. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში განმცხადებელს განესაზღვრება ვადა მის შესავსებად. უფლებადარღვევის ოქმის შემთხვევაში - სავარუდო უფლებადარღვეულ პირს დამატებით მიეცემა ვადა, (ხარვეზის შევსების ვადა) საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის წარმოდგენის მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განცხადება/ოქმი სახალხო დამცველის აპარატში შეტანილია ბავშვის მიერ. აღნიშნული ვადა არ შეიძლება იყოს 7 სამუშაო დღეზე მეტი. დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მომართვა/უფლებადარღვევის ოქმი რჩება განუხილველი.

3. ბავშვის უფლებათა დარღვევის თაობაზე იმ განცხადებაზე/უფლებადარღვევის ოქმზე, რომელზეც შესაძლებელია დადგინდეს ვადა საჭირო დამატებით ინფორმაციის/დოკუმენტის წარმოდგენის მიზნით, აღნიშნული ვადა არ შეიძლება იყოს 10 სამუშაო დღეზე მეტი.

დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მომართვა რჩება განუხილველი.

4. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, შესაბამის წერილი ადრესატთან იგზავნება ხარვეზის დადგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

მუხლი 18. სტრუქტურული ერთეულებისათვის საქმეთა განაწილების წესი

1. სტრუქტურულ ერთეულებს საქმე შესწავლად გადაეცემა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესის“ შესაბამისად.

2. პირველადი შემოწმების შემდეგ განცხადება/უფლებადარღვევის ოქმი, იმავე დღეს გადაეცემა აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსს ან/და შესაბამის პირს.

3. თუ განცხადება/უფლებადარღვევის ოქმი რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციაა, ასეთი განცხადება/უფლებადარღვევის ოქმი შესასწავლად შესაძლოა დაეწეროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. სტრუქტურული ერთეულებს შორის შეთანხმების საფუძველზე პერიოდულად განისაზღვრება საკითების ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც განცხადება/უფლებადარღვევის ოქმი შესასწავლად გადაეცემა ერთ სტრუქტურულ ერთეულს, თუმცა ინფორმაციისთვის შეიძლება გადაეცეს სხვა სტრუქტურულ ერთეულებსაც.

5. თუ საქმის შესწავლის პროცესში გამოიკვეთება სხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ საქმის განხილვის საჭიროება, საქმე გადაეცემა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულსაც.

6. სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომპეტენციასთან დაკავშირებით გაურკვევლობის წარმოშობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებენ სახალხო დამცველის კურატორი მოადგილეები.

მუხლი 19. საქმის წარმოების პროცესში განსახორციელებელი ღონისძიებები

1. აპარატში საქმის გარემოებათა გამოკვლევის მიზნით აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი უფლებამოსილია:

ა) დაუბრკოლებლად შევიდეს საჯარო დაწესებულებაში, მათ შორის, სამხედრო ქვედანაყოფში, პენიტენციურ დაწესებულებაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში;

ბ) საჯარო დაწესებულებაში, მათ შორის, სამხედრო ქვედანაყოფში, პენიტენციურ დაწესებულებაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ვიზიტისას გაეცნოს იქ არსებულ ვითარებას და გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები;

გ) ნებისმიერი საჯარო დაწესებულებას (მათ შორის, პროკურატურის, საგამომიებო, სასამართლო ორგანო) ან თანამდებობის პირს, დისკრიმინაციის საქმესთან დაკავშირებით აგრეთვე ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს, სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, პირთა გაერთიანებას იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტს, ბავშვის უფლებათა დარღვევის შესწავლის მიზნით - აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირის დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა მოსთხოვოს შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი, საბუთი, ან სხვა ნებისმიერი ინფორმაცია ან მასალა რაც საქმის განხილვის შესწავლისათვის ესაჭიროება.

დ) ნებისმიერი თანამდებობის პირს, მოხელეს, მასთან გათანაბრებულ პირს, დისკრიმინაციის საქმესთან დაკავშირებით აგრეთვე ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს, სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, პირთა გაერთიანებას იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტს, ბავშვის უფლებათა დარღვევის შესწავლის მიზნით - აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირს დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა მოსთხოვოს და მიიღოს შემოწმებისათვის საჭირო წერილობითი ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე;

ე) განიხილოს სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით საქსპერტო გამოკვლევების ან დასკვნების მომზადების საჭიროება და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად;

ვ) საქმის განხილვის და შესაბამისი საჭიროების არსებობისას გაატაროს ღონისძიებები სპეციალისტების /ექსპერტების ან კონსულტანტების მოსაწვევად;

ზ) გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული.

თ) დაათვალიეროს სავარაუდო უფლებადარღვევის ადგილი;

ი) ზეპირად ან წერილობით მოიპოვოს მოწმეების ახსნა-განმარტება; აპარატის საქმის განხილველი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი უზრუნველყოფს ზეპირად მოპოვებული ახსნა-განმარტების დაოქმებას;

კ) გამოიყენოს სიტუაციური ტესტი - დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

მუხლი 20. მტკიცებულებათა სახეები

1. უფლებადარღვევის ფაქტის შესწავლის მიზნით საქმის წარმოებაში მტკიცებულებათა სახეებია:

ა) იმ პირის ახსნა-განმარტება, რომლის მიმართ განხორციელდა სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტი ან/და სავარაუდო ქმედების განმახორციელებელი პირის ახსნა-განმარტება;

ბ) მოწმ(ებ)ის ახსნა-განმარტება;

გ) წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება;

დ) ექსპერტის (სპეციალისტის) დასკვნა;

ე) შემთხვევის ადგილის დათვალიერება;

ვ) სიტუაციური ტესტი - დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

2. არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და უნდა შემოწმდეს მისი სანდოობა, სისრულე და უტყუარობა. მტკიცებულება კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს უნდა ეხებოდეს და მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს ასახავდეს, ის უნდა იძლეოდეს უფლებადარღვევის ფაქტის არსებობაში სრულად დარწმუნების შესაძლებლობას.

3. დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, დისკრიმინაციული ქმედების თავისებურების გათვალისწინებით:

ა) იქ სადაც არ არსებობს მყარი მტკიცებულება, დისკრიმინაციის დასადასტურებლად, შესაძლოა საჭირო გახდეს მაღალი ალბათობით სანდო მტკიცებულება/მტკიცებულებათა ერთობლიობის გამოყენება (სტატისტიკური ინფორმაცია, სიტუაციური ტესტი და სხვა მსგავსი).

ბ) წინამდებარე წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოწინააღმდეგე მხარეზე გადადის, რომელმაც მის მიერ განხორციელებული ქმედების მართლზომიერება უნდა ამტკიცოს. თუ სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირი ვერ დაამტკიცებს, რომ დისკრიმინაციული ქმედება არ განხორციელებულა, მაშინ დისკრიმინაციული მოპყრობა/პირობების შექმნა დამტკიცებულად ჩაითვლება.

4. დისკრიმინაციული ქმედების საქმის წარმოებაში მტკიცების ტვირთი ეკისრება სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს. სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელი პირი ვალდებულია ამტკიცოს:

ა) რომ განსხვავებული მოპყრობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არის მიზნის მიღწევის სათანადო, აუცილებელი და თანაზომიერი საშუალება ან

ბ) ამტკიცოს განსხვავებული მოპყრობის არარსებობა.

მუხლი 21. კომუნიკაცია დაინტერესებულ პირთან და მის მიერ ახსნა-განმარტების წარმოდგენა

1. აპარატის საქმის განმხილველი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი პირველადი რეაგირების ეტაპზევე, საჭიროების შემთხვევაში, კომუნიკაციას ამყარებს დაინტერესებულ პირთან საქმის განხილვის ეტაპებისა და შესწავლის შესაძლო შედეგებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, აპარატის საქმის განმხილველი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი დაინტერესებული პირისაგან მოიპოვებს ზეპირ ან წერილობით ახსნა-განმარტებას საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

2. აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია საქმის განხილვაში მონაწილე პირებს, დაინტერესებულ მხარეს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ ასეთი არსებობის შემთხვევაში.

3. აპარატის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა ბავშვს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს და კონსულტაცია უნდა გაუწიოს კულტურული მგრძობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით.

4. დაინტერესებული პირის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დასტურდება.

5. დაინტერესებული პირის ახსნა-განმარტება, თუ ის ფაქტების ლოგიკურ თანმიმდევრობას ასახავს, რომელსაც პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი, ან ემპირიული (გამოცდილებაზე

დაფუძნებული) დაკვირვებით ქმნის განცდას, რომ ასეთ მოვლენას შეიძლება ჰქონოდა ადგილი, საკმარისი საფუძველია უფლებადარღვევის ვარაუდის მიჩნევისათვის.

მუხლი 22. მოწმის ახსნა-განმარტება

1. მოწმე არის პირი, რომლისთვისაც ცნობილია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტობრივი გარემოება საქმის შესახებ, შესწევს უნარი, სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ინფორმაცია და რომელიც არ არის იურიდიულად დაინტერესებული საქმის შედეგით.
2. იმ შემთხვევაში, თუ მოწმე დაინტერესებული პირის წარმომადგენელია, მოწმის გამოკითხვა დაინტერესებული პირის ახსნა-განმარტების იდენტური ძალის მქონეა და იგი დაინტერესებული ახსნა-განმარტების გასამყარებლად, დასადასტურებლად არ გამოდგება.
3. მოწმის ახსნა-განმარტება წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, ხოლო ზეპირი ახსნა-განმარტება აისახება შესაბამის ოქმში წინამდებარე წესის 35-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 23. მოწმის კონფიდენციალობის დაცვა

1. მოწმის უსაფრთხოების ან/და მისი ვიქტიმიზაციის რისკების გამო ან მოწმის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა მოხდეს მისი ვინაობის მესამე პირებისათვის გამხელისაგან დაცვა (კონფიდენციალობის დაცვა). ამასთან, როგორც წესი, მოწმის ვინაობა სახალხო დამცველისთვის/აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის ცნობილია.
2. მოწმის კონფიდენციალობა იმ წესითა და ფარგლებში უნდა იქნეს დაცული, რასაც მოწმე/მისი უსაფრთხოება ითხოვს (მოწმემ შეიძლება უარი თქვას მისი ახსნა-განმარტების, თუნდაც მესამე პირებისათვის გამხელის, ან კონფიდენციალურად დაარქივების სტატუსით შენახვაზე (ახსნა-განმარტების შესახებ ოქმის შედგენაზე), მისი სახელისა და გვარის ინიციალებით გადაწყვეტილებაში აღნიშვნაზე და ა. შ.).
3. კონფიდენციალური მოწმის ახსნა-განმარტება ვერ იქნება ერთადერთი მტკიცებულება, რომლითაც უფლებადარღვევის ფაქტი დადასტურდება, თუმცა, ის სხვა მტკიცებულებებთან ერთად დასაშვებ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული.

მუხლი 24. წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება

1. წერილობითი მტკიცებულებებია: აქტები, დოკუმენტები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.
2. ნივთიერი მტკიცებულებებია ის ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას წარმოადგენენ.
3. წერილობით (ნივთიერ) მტკიცებულებებს წარადგენენ მხარეები. თუ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენა ძნელია ან შეუძლებელია, აპარატის შესაბამის სტრუქტურულ

ერთეულს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია ადგილზე დათვალიერება. ადგილზე დათვალიერების შემთხვევაში დგება შესაბამისი ოქმი.

4. მხარეთა მიერ წერილობითი (ნივთიერი) მტკიცებულებების წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, აღნიშნულ მტკიცებულებებს გამოითხოვს სახალხო დამცველი/აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

5. წერილობითი მტკიცებულებები, აპარატს წარედგინება დედნის ან ასლის სახით. იმ შემთხვევაში თუ მტკიცებულების ასლის ნამდვილობა საეჭვოა, შესაძლებელია მოთხოვნილი იქნეს ამ მტკიცებულების დედნის სახით წარმოდგენა.

მუხლი 25. ექსპერტის/სპეციალისტის მოწვევა

1. საქმის გარემოებათა შესწავლის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, საექსპერტო ან/და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად ექსპერტის/სპეციალისტის მოწვევის შესახებ აპარატის სტრუქტურული ერთეული შუამდგომლობით მიმართავს გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ პირს, რომელიც აღნიშნულ საკითხზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

2. ექსპერტის/სპეციალისტის მოწვევის შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოს ფორმა, შინაარსი, ვადები და ანგარიშგების საკითხები განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტით (ხელშეკრულება, ბრძანება, მიმართვა და სხვა). ექსპერტის/სპეციალისტის მიერ დადგენილ ვადაში დასკვნის წარმოდგენლობის ან/და დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული იღებს გადაწყვეტილებას საქმის განხილვის გაგრძელების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

3. სახალხო დამცველი/აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ექსპერტს/სპეციალისტს წარუდგენს დასკვნისათვის აუცილებელ ინფორმაციას.

4. ექსპერტის/სპეციალისტის დასკვნა არ არის სავალდებულო სახალხო დამცველისთვის/აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის.

მუხლი 26. მესამე პირი დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლის პროცესში

1. მესამე პირს უფლება აქვს, მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების შესახებ საქმის განხილვის პროცესში მესამე პირად ჩართვის მოთხოვნით და წარმოდგენს თავის წერილობით მოსაზრებას ამ საქმესთან დაკავშირებით.

2. აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი მესამე პირად ჩააბას პირი დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების შესახებ მიმდინარე საქმის განხილვაში, თუ მესამე პირად ჩართვის შესახებ თანხმობას განაცხადებს ის პირი, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს.

3. ორგანიზაციამ, დაწესებულებამ ან გაერთიანებამ სახალხო დამცველს მესამე პირად ჩართვის შესახებ წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 დღისა მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეზე წარმოების მიმდინარეობის შესახებ, წერილობით განცხადებას რომელშიც უნდა იყოს მითითებული ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი და ინფორმაცია მისი საქმიანობის სფეროს თაობაზე.

4. მესამე პირად ჩართვის შესახებ აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას, რომლის შესახებაც დგება ოქმი და დაერთვის საქმის მასალებს.
5. მესამე პირად ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული მესამე პირს განუსაზღვრავს ვადას წერილობითი მოსაზრების წარმოდგენის მიზნით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 სამუშაო დღეს. აღნიშნულ ვადაში მესამე პირის მიერ მოსაზრების წარუდგენლობა არ შეაფერხებს საქმის სახალხო დამცველის აპარატში საქმის შესწავლის პროცესს.
6. მესამე პირის წერილობით მოსაზრება არ შეიძლება იყოს რომელიმე მხარის მხარდასაჭერად გაკეთებული. წერილობითი მოსაზრება უნდა დაეხმაროს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს განსახილველი საკითხის სათანადო შეფასებაში. ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია არ განიხილოს იგი.
7. მესამე პირის წერილობითი მოსაზრება გადაეცემა მხარეებს.
8. აპარატის სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია არ გაიზიაროს მესამე პირის წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები და შეფასება. მათი გაზიარების შემთხვევაში, სახალხო დამცველი უფლებამოსილია მესამე პირის არგუმენტები ასახოს საბოლოო დოკუმენტში.
9. სახალხო დამცველი/აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია დაიცვას დისკრიმინაციის მსხვერპლთან დაკავშირებული პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აკრძალულია დისკრიმინაციის მსხვერპლის თანხმობის გარეშე ამგვარი ინფორმაციის მესამე პირისთვის მიწოდება, გარდა კანონით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა.
10. ზეპირი მოსმენის გამართვის შემთხვევაში, მესამე პირი შესაძლოა მოწვეულ იქნეს სხდომაზე. ზეპირი მოსმენის სხდომაზე მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ მოხდება მესამე პირის ახსნა-განმარტების მოსმენა.
11. მესამე პირს შეიძლება კითხვები დაუსვან მხარეებმა, მათმა წარმომადგენლებმა, და სხდომის თავმჯდომარემ.
12. მესამე პირები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება.

მუხლი 27. ადგილზე დათვალიერება

1. გარკვეული კატეგორიის, მათ შორის, ინფრასტრუქტურულ და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორც წესი, აპარატის საქმის განხილვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ახორციელებს ადგილზე დათვალიერებას. დათვალიერების შედეგები აისახება ოქმში.
2. საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება შეიძლება განახორციელოს რამდენიმე აპარატის სტრუქტურულმა ერთეულმა ერთობლივად.

მუხლი 28. სიტუაციური ტესტი

1. სიტუაციური ტესტი, როგორც ეფექტური მექანიზმი დისკრიმინაციული ქმედების ფაქტის დასადგენად, შესაძლოა გამოყენებული იქნეს დისკრიმინაციის თაობაზე საქმის შესწავლის შემთხვევაში.
2. სიტუაციური ტესტი არის შემთხვევა, რომ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები (თანასწორობის დეპარტამენტი) თავად ქმნიან იმ შემთხვევის მოდელირებულ ვერსიას, რომლის თაობაზეც ისინი ინფორმირებული არიან.
3. სიტუაციური ტესტი, ცალკე აღებული დისკრიმინაციული ქცევის უტყუარ მტკიცებულებას არ ქმნის, თუმცა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში დისკრიმინაციული ქცევის ვარაუდის დაშვებისათვის დასაშვები/გამოსადეგი მტკიცებულებაა.
4. სიტუაციური ტესტის მტკიცებულებად გამოყენების მიზნებისათვის, აუცილებელია მის შესახებ ოქმის სათანადო წესით შედგენა (კერძოდ, უნდა აისახოს მოდელირებული შემთხვევის მიმდინარეობა, მონაწილეები და შედეგები, დაწყების, დასრულების დრო და სხვ.)

მუხლი 29. დაუშვებელი მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საგამონაკლისო წესი

1. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას, როგორც წესი, იურიდიული ძალა არა აქვს.
2. დისკრიმინაციული ქმედების ფაქტის დადგენის საქმეზე, აგრეთვე ბავშვის უფლებებთან და ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებულ საქმეზე, გამონაკლისის სახით, კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება შეიძლება დასაშვებად იქნეს მიჩნეული და შეფასდეს.
3. ყოველ კონკრეტულ, ინდივიდუალურ შემთხვევაში, მხარეთა ორმხრივი ინტერესების ურთიერთშეჯერების შედეგად, საქმის შემსწავლელმა სტრუქტურულმა ერთეულმა უნდა შეაფასოს რა პატივსადებმა ინტერესმა აიძულა მხარე მტკიცებულება უკანონოდ მოეპოვებინა.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული პატივსადები ინტერესი შესაძლოა იყოს პირის უფლებათა ისეთ ხელყოფა, რომლის დადასტურება, კანონით დასაშვები მტკიცებულებების მოპოვების გზით არის შეუძლებელი (მაგალითად, იძულება სქესობრივ კავშირზე).
5. უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულება (ფარული მოსმენა, გადაღება და ა. შ.) მართლზომიერად მოპოვებულ და დასაშვებ მტკიცებულებად არ მიიჩნევა, თუ მხარეს მტკიცებულების შექმნის სხვა შესაძლებლობა (თავისუფლება) შეზღუდული არ აქვს.

მუხლი 30. ინფორმაციის წარუდგენლობა და უფლებადარღვევის ფაქტის დადასტურება

სავარაუდო უფლებადარღვევის განმახორციელებელი პირის მიერ, აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის, კანონით დადგენილ ვადაში საქმის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციის/მტკიცებულებების მიუწოდებლობის შემთხვევაში, აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული საქმეში არსებული ინფორმაციისა და მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, რომელიც საკმარისია უფლებადარღვევის ფაქტის დასადასტურებლად ან უარსაყოფად, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მუხლი 31. ზეპირი მოსმენა

1. სახალხო დამცველის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული საქმის თავისებურებების გათვალისწინებით, უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული გარემოებების დაზუსტების მიზნით ზეპირ მოსმენაზე მოიწვიოს დაინტერესებული მხარე და შესაბამისი დაწესებულების წარმომადგენელი.
2. დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, შესაძლებელია ზეპირი მოსმენის გამართვა და მხარეთა მოწვევა, როცა არსებობს საქმის მორიგებით დასრულების საფუძველები და შესაძლებლობა.
3. ზეპირი მოსმენას და მასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებას/შესაბამის პროცედურებს ახორციელებს სახალხო დამცველის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან/და სხვა უფლებამოსილი პირი სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის კურატორი მოადგილის გადაწყვეტილებით.
4. მხარეებს, ზეპირ მოსმენაში მონაწილე პირებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 5 სამუშაო დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.
5. მოწვევისას მხარეებს ეცნობება, რომ მათი გამოუცხადებლობა არ ზღუდავს აპარატს მათი მონაწილეობის გარეშე განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკითხი მხარეთა მორიგებას შეეხება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე.
6. მოწვევისას პირს ეცნობება: რომელ საქმეზე იმართება მოსმენა; აპარატის საქმის განმხილველი სტრუქტურული ერთეულის დასახელება, რომელიც აწყობს მოსმენას; საქმის წარმოების დაწყების საფუძველი; ზეპირი მოსმენის დრო და ადგილი.
7. თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი აღემატება 50-ს, აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია დაინტერესებული პირები ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს სახალხო დამცველის ვებ-გვერდზე ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით. ცნობა უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ ინფორმაციას ისე, რომ არ დაირღვეს პირის პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება.
8. ზეპირ მოსმენაზე მოწვევა შესაძლებელია ელექტრონული ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.
9. ზეპირი მოსმენა, როგორც წესი, არ უნდა გრძელდებოდეს ერთ სამუშაო დღეზე მეტს.

მუხლი 32. ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი

1. სხდომას ხსნის და თავმჯდომარეობს სახალხო დამცველის კურატორი მოადგილე, აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან მისი წარმომადგენელი.
2. ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ სახალხო დამცველს/სახალხო დამცველის მოადგილეს, აპარატის წარმომადგენლებს, დაინტერესებულ პირებს, მესამე პირებს - დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, განხილვაზე მოწვეულ ექსპერტს/სპეციალისტს, თარჯიმანს, მოწმეს.

3. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს, ხოლო დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე - აგრეთვე დამსწრე მესამე პირს, მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

4. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.

5. ზეპირი მოსმენის დროს მონაწილე მხარეებს შეიძლება მოუსმინონ ერთმანეთის დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებელია პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად და თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქმის განმხილველი სტრუქტურული ერთეული საქმის განხილვაში მონაწილე მხარის თხოვნის ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე.

6. სხდომაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია გააფრთხილოს წესრიგის დამრღვევი პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – დაატოვებინოს სხდომის ოთახი.

7. სხდომა შეიძლება გაგრძელდეს გაძევებული პირის მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 33. საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენა ზეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ

თუ ზეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ აპარატის საქმის განმხილველი სტრუქტურული ერთეულისთვის ცნობილი გახდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოების შესახებ, ამის თაობაზე უნდა ეცნობოთ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეებს და მიეცეთ მათ შესაძლებლობა წარადგინონ საკუთარი მოსაზრებანი მოცემულ საკითხზე.

მუხლი 34. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი

1. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი შედგენა სავალდებულოა, რომელიც დგება ელექტრონული ან აუდიო ფაილის სახით.

2. ზეპირი მოსმენის ჩაწერა შესაძლებელია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ოქმის შედგენის დროს გაითვალისწინება ამ წესის 35-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები და პროცედურები;

3. თუ ზეპირი მოსმენის ჩაწერა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეუძლებელია, დგება წერილობითი ოქმი, რომლის მიმართ მოქმედებს ამ წესის 35-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები და პროცედურები;

4. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 35. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის შინაარსი

1. ზეპირი მოსმენის წერილობით ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ზეპირი მოსმენის გამართვის, პროცედურული მოქმედების განხორციელების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;

ბ) ზეპირი მოსმენის, პროცედურული მოქმედების განხორციელების დაწყებისა და დამთავრების დრო;

გ) ზეპირი მოსმენის სხდომაზე დამსწრეთა ვინაობა, მათ შორის, ცნობები მხარეების წარმომადგენელთა, მოწმეთა, ექსპერტთა და თარჯიმანთა შესახებ;

დ) საქმის დასახელება;

ე) სხდომის მიმდინარეობა. სხდომის მიმდინარეობის აღწერა უნდა მოხდეს მაქსიმალურად დეტალურად. მათ შორის, უნდა აისახოს სხდომაზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა წარმოდგენილი ახსნა-განმარტებანი, სხდომაზე მოწმეთა ახსნა-განმარტებები, ექსპერტების (სპეციალისტების) მიერ თავიანთი დასკვნების განმარტებები, ნივთიერ და წერილობით მტკიცებულებათა დათვალიერების მონაცემები.

2. ზეპირი მოსმენის ელექტრონული ან აუდიო სახით ჩაწერის შემთხვევაში, დგება წერილობითი ოქმი, რომელშიც უნდა აღნიშნოს ამ მუხლის პირველი ნაწილის მხოლოდ „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები და კეთდება აღნიშვნა, რომ ელექტრონულ მატარებელზე ან შესაბამისი ელექტრონული ფაილის სახით არსებული ჩანაწერი თან ერთვის ოქმს.

მუხლი 36. წარმომადგენელი საქმის წარმოებაში

1. თუ განმცხადებელს ან სხვა დაინტერესებულ მხარეს ჰყავს წარმომადგენელი, აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული მის წარმოებაში არსებული საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების/ინფორმაციის ადრესატის (დაინტერესებული პირი ან/და წარმომადგენელი) განსაზღვრის თაობაზე და აღნიშნულის შესაბამისად უგზავნის მას/მათ დოკუმენტებს.

2. დაინტერესებული მხარე, რომელიც წარმოდგენილია სხვა პირით, უფლებამოსილია დაესწროს ზეპირ მოსმენას.

3. თუ სახალხო დამცველის აპარატში განცხადება წარადგინა 5-ზე მეტმა პირმა და განცხადებაში არ არის მითითებული საკონტაქტო პირი ან/და წარმომადგენელი, საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია მიეწოდება განცხადებაზე პირველ ხელმომწერ პირს.

მუხლი 37. საქმის განხილვაში მონაწილეობის დაუშვებლობა

1. საქმის წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს აპარატის ის თანამშრომელი, რომელიც:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) იყო ექსპერტი (სპეციალისტი) მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;

- ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე;
 - ვ) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
 - ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;
 - თ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია;
 - ი) არსებობს სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.
2. ამ წესის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:
- ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
 - დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
3. სახალხო დამცველის აპარატის ის თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს საქმის შესწავლის პროცესში ვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელს პირს აცნობოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ, რის შემდეგაც ის აღარ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში.

მუხლი 38. აცილების განცხადება

1. საქმის განხილვაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს საქმის განხილვაში მონაწილე პირის აცილების საფუძველი, ამ წესის შესაბამისად უფლება აქვს საქმის შესწავლის დასრულებამდე განაცხადოს იგი.
2. აცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.
3. აცილების შესახებ განცხადებას იხილავს და აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს იმ პირის ხელმძღვანელი პირი, რომლის მიმართაც განცხადებულია აცილება.

მუხლი 39. საქმის განხილვის მასალების გაცნობის უფლება

1. საქმის განხილვაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს შემაჯამებელი დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდა სამუშაო ხასიათის ინფორმაციას.
2. თუ დოკუმენტის/ინფორმაციის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავს სხვათა პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

3. არ შეიძლება დაწესდეს რაიმე გადასახადი ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლის მისაღებად, ასლის გადაღებისათვის, აგრეთვე ფოსტის მეშვეობით გაგზავნისათვის, საჭირო თანხის ანაზღაურების გარდა.

მუხლი 40. კომერციული საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების წარდგენის წესი

1. დაინტერესებული პირი/საქმის განხილვის პროცესში ინფორმაციის წარმდგენი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოების უზრუნველყოფა.
2. დაინტერესებული პირი/საქმის განხილვის პროცესში ინფორმაციის წარმდგენი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი ინფორმაციის კომერციული საიდუმლოებად მიჩნევა კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 41. საქმის გარემოებათა გამოკვლევა

1. აპარატის საქმის შემსწავლელი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია საქმის განხილვისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და შემაჯამებელი დოკუმენტის პროექტი მოამზადოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
2. დაუშვებელია, შემაჯამებელი დოკუმენტს საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც სათანადოდ არ არის გამოკვლეული აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ.
3. აპარატის საქმის განმხილველ სტრუქტურულ ერთეულს უფლება არა აქვს წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძველით, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია.
4. დაინტერესებული მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს სახალხო დამცველის აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან საქმის განხილვისას.

თავი IV. საქმისწარმოების ვადები

მუხლი 42. სტრუქტურულ ერთეულში საქმის განაწილების ვადები

1. სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელი საქმის მიღებიდან 2 სამუშაო დღეში გადასცემს იმავე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს. ცალკეული დეპარტამენტის დატვირთულობის გათვალისწინებით აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაიზარდოს სახალხო დამცველის/კურატორი მოადგილის გადაწყვეტილებით.
2. იმ შემთხვევაში თუ სტრუქტურული ერთეულისათვის გადაცემული საქმე არ არის მისი ქვემდებარე, სტრუქტურული ერთეულის უფროსი სათანადო მითითებით უბრუნებს საქმეს

პირველად შემოწმებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს, საქმის მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 43. შემსრულებლის მიერ პირველადი რეაგირება

1. სტრუქტურული ერთეული ვალდებულია მისთვის საქმის გადაცემიდან მაქსიმალურად მოკლე ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა, განახორციელოს ამ საქმეზე პირველადი რეაგირება, ხოლო ბავშვის უფლებათა დეპარტამენტში - საქმის გადაცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში.
2. პირველადი სამართლებრივი რეაგირების განხორციელების ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, იმ შემთხვევაში, თუ საქმის სირთულიდან გამომდინარე, შეუძლებელია მასზე პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში პირველადი რეაგირების განხორციელება.
3. საქმეზე, რომელსაც აქვს შენიშვნა „სასწრაფო“, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დავალებით, შემსრულებელი დაუყოვნებლივ ახორციელებს სათანადო რეაგირებას.

მუხლი 44. საქმის წარმოების დასრულების ვადები

1. შემსრულებლის მიერ საქმის შესწავლა უნდა დასრულდეს საქმის გადაცემიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა, ხოლო ბავშვის უფლებათა დეპარტამენტში - საქმის გადაცემიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 50 კალენდარული დღისა.
2. საქმის შესწავლის ვადის გაგრძელება დასაშვებია თუ:
 - ა) შესასწავლი საკითხის სირთულიდან გამომდინარე, შეუძლებელია წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში შემაჯამებელი დოკუმენტის მომზადება.
 - ბ) შესაბამისი ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მიერ არ განხორციელდა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის მოწოდება ან/და ასეთი ინფორმაცია ან ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაცია, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა არასრულყოფილი სახით და აღნიშნული ინფორმაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე შემაჯამებელი დოკუმენტის მომზადებისას;
 - გ) სხვა ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 45. გაშვებული ვადის აღდგენა

1. საქმის წარმოებაში ვადის გამოთვლისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-69-ე მუხლებით დადგენილი წესი.
2. თუ დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაიცვას კანონით ან სახალხო დამცველის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ დადგენილი ვადა, აღნიშნული ვადის

დინება დაიწყება მხოლოდ დაინტერესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადაცემის ან ამ ინფორმაციის ოფიციალური გამოქვეყნების მომდევნო დღიდან.

3. გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან სახალხო დამცველის/აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით. სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია აღადგინოს დაინტერესებული მხარის მიერ საპატიო მიზეზით გაშვებული, მის მიერ დადგენილი ვადაც, თუ ეს არ არის აკრძალული კანონით და ზიანს არ აყენებს მესამე პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

თავი V. საქმის განხილვის დასრულება

მუხლი 46. საქმის განხილვის დასრულება

1. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, გამოკვლევის და ურთიერთშეჯერების საფუძველზე აპარატის სტრუქტურული ერთეული ამზადებს შემაჯამებელ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმის განხილვის დასრულება შესაძლებელია დაინტერესებულ პირთან ზეპირი კომუნიკაციის გზით.

2. დაინტერესებულ პირთან ზეპირი კომუნიკაციის გზით საქმის განხილვის დასრულების თაობაზე დგება შესაბამისი ოქმი.

მუხლი 47. შემაჯამებელი დოკუმენტის გამოცემა

1. სახალხო დამცველის/აპარატის მიერ გამოცემული შემაჯამებელი დოკუმენტი უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს იმ გარემოებებს, ფაქტებს, მტკიცებულებებს ან/და არგუმენტებს, რომლებიც სამართლიანად, სათანადო გულისხმიერებით იქნა გამოკვლეული და შესწავლილი საქმის განხილვის დროს.

2. შემაჯამებელ დოკუმენტში უნდა მიეთითოს იმ მტკიცებულებები, რომლებიც განხილულ იქნა მხარეთა მონაწილეობით და მხარეებს მიეცათ მათზე თავიანთი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.

3. შემაჯამებელი დოკუმენტი, როგორც წესი, მისი შინაარსის გათვალისწინებით, შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

4. 1. შესავალ ნაწილში აღინიშნება:

ა) შემაჯამებელი დოკუმენტის დასახელება;

ბ) საქმის დასახელება, მიღების თარიღი, საქმის ნომერი;

გ) მითითება მხარეების შესახებ, მათ შორის, მესამე პირები დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე;

დ) შესწავლის საგანი (რა არის უფლებადარღვეული პირის მოთხოვნა ან სახალხო დამცველის ინიციატივით დაწყების მიზეზი).

4.2. აღწერილობით ნაწილში უნდა აღინიშნოს:

ა) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები;

ბ) მხარეთა პოზიციები;

გ) მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტის და მესამე პირის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები - ასეთის არსებობის შემთხვევაში

4.3. სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს:

ა) აპარატის მიერ დადგენილი გარემოებანი;

ბ) მტკიცებულებანი, რომლებსაც ეფუძნება შემაჯამებელი დოკუმენტის დასკვნები;

გ) სამართლებრივი საფუძვლები, რომელსაც ეყრდნობა შემაჯამებელი დოკუმენტი.

4.4. სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას უფლებადარღვევის არსებობის დადასტურების ან მისი უარყოფის შესახებ;

ბ) შემაჯამებელი დოკუმენტის სამართლებრივი შედეგებს - სახალხო დამცველის მოთხოვნას;

გ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

მუხლი 48. დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმის მორიგებით დასრულება. მორიგების აქტი

1. საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, საქმის თავისებურებების გათვალისწინებით, თუ სახალხო დამცველის/აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული მორიგებას საჭიროდ მიიჩნევს და არსებობს მხარეთა შორის (დისკრიმინაციის მსხვერპლი და სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელი პირი) საქმის მორიგებით დასრულების შესაძლებლობა, უფლებამოსილია თავისი ინიციატივით შესთავაზოს მხარეებს საქმის მორიგებით დასრულება. საქმის მორიგებით დასრულების მიზნით, სახალხო დამცველი/აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია იზრუნოს და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, მათ შორის, მხარეებს განუმარტოს რეკომენდაციის გამოცემის შემთხვევაში შესაძლო შედეგები და შესთავაზოს მათ მორიგება.

2. დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლის პროცესში განცხადების ავტორს შეუძლია უარი თქვას თავის მოთხოვნაზე, ხოლო იმ პირს, რომლის წინააღმდეგაც არის შეტანილი განცხადება, ცნოს ის.

3. მორიგების პირობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას და მოქმედ კანონმდებლობას, საზოგადოებრივ წესრიგსა და ზნეობას.

4. საქმის მორიგებით დასრულების მიზნით სახალხო დამცველი/აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული დანიშნავს ზეპირ მოსმენას, რომელზეც იწვევს მხარეებს. ზეპირი მოსმენა იმართება ამ წესის 31-ე და 32-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით. სახალხო დამცველს/აპარატის შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულს შეუძლია გამოაცხადოს შესვენება

ზეპირი მოსმენის სხდომაზე და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს მორიგების პირობების განსასაზღვრად და მხარეებს შორის შესათანხმებლად.

5. მორიგების შეთანხმებული პირობები მტკიცდება სახალხო დამცველის მიერ.

6. მხარეთა მორიგება იწვევს დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების საქმეზე საქმის წარმოების შეწყვეტას.

7. საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველი ახორციელებს მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.